სოციალურად დაუცველთა ბინით უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, (რომელთა საცხოვრებელი სახლი არ ექვემდებარება რეაბილიტაციას) ინდივიდუალური საცხოვრისით (მათ შორის, მსუბუქი ასაწყობი კონსტრუქციით) უზრუნველყოფას, არაუმეტეს 25 000 ლარის ფარგლებში, ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის, რომლის საცხოვრებელი სახლი ექვემდებარება რეაბილიტაციას, მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით, "ერთი ოთახის" მოწყობას, თითოეულ ოჯახზე 10 000 (ათი ათასი) ლარის ფარგლებში.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია :

1. *ბენეფიციარის შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან, შშმ პირი, ომის ვეტერანი, მარჩენალდაკარგული, მრავალშვილიანი და სხვა).*
2. *ცნობა ბენეფიციარის ოჯახის სრული შემადგენლობის შესახებ.*
3. *ამონაწერი საჯარო რეესტრიდან მიწის საკუთრებაზე ან/და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლის მიერ გაცემული ცნობა ბენეფიციარის მიერ განცხადებაში მითითებული საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივ ფლობასთან დაკავშირებით.*
4. *ცნობა საჯარო რეესტრიდან ბენეფიციარზე და მის ოჯახის წევრებზე სხვა უძრავი ქონების არარსებობის შესახებ.*
5. *ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა.*

ბენეფიციარის ინდივიდუალური საცხოვრისით უზრუნველყოფის თაობაზე, ან მისთვის „ერთი ოთახის“ მოწყობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი „სოციალური კომისია“.